სახელმწიფოს მიერ სანქცირებული ძალადობა და ინსტიტუციური ცვლილებები

(ამერიკის შეერთებული შტატების, კოლუმბიის და საქართველოს შემთხვევების შედარებითი ანალიზი)

რუსუდან აფციაური

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პოლიტიკის მეცნიერება(საერთაშორისო ურთიერთობები)

ხელმძღვანელი: ნინო ფავლენიშვილი(ასოცირებული პროფესორი)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

რუსუდან აფციაური
30.06.17

აბსტრაქტი

ნაშრომში წარმოდგენილია კვლევა სახელმწიფო ინსტიტუტების ცვლილებაზე პოლიტიკური ძალადობის გავლენის შესახებ. კერძოდ, საკვლევი საკითხებია, როდის იყენებს ხელისუფლება ძალადობრივ სტარტეგიას საზოგადოებასთან ურთიერთობისთვის, რა ეფექტი აქვს სახელმწიფო ინსტიტუტების ფუნქციონირებაზე ძალის გამოყენების შემთხვევას და როგორ შეიძლება ძალადობრივი ქმედებების შედეგი დააბალანსოს ინსტიტუციურმა ცვლილებამ. კვლევის ფარგლებში გამოყენებულ იქნა თვისებრივი კვლევის სამი მეთოდი: სამაგიდო კვლევა, შემთხვევების შესწავლის შედარებითი ანალიზი და ინტერვიუ. შესასწავლ შემთხვევებად შერჩეულ იქნა ამერიკის შეერთებულ შტატებში „დაიკავე უოლ სტრიტის“ აქციის დარბევა 2011 წელს, კოლუმბიაში მთავრობასა და პარამილიტარისტულ დაჯგუფებებს შორის პერიოდული თავდასხმები და საქართველოში მშვიდობიანი საპროტესტო აქციის დაშლა 2007 წელს. ჩატარებული კვლევა ადასტურებს შემდეგ ჰიპოთეზებს: სახელმწიფო ინსტიტუტების შესაძლებლობები განაპირობებს ხელისუფლების არჩევანს გამოიყენოს ძალადობრივი მეთოდები; პოლიტიკური ძალადობის მრავალჯერადი შემთხვევა წარმოშობს უნდობლობას და სახელმწიფო ინსტიტუტის ჩამოშლის საფრთხეს; აგენტის ან სტრუქტურის ცვლილებას სახელმწიფო ინსტიტუტში აქვს უნარი დააბალანსოს პოსტძალადობრივი მდგომარეობა. ნაშრომში წარმოდგენილი დასკვენები და შედეგები გამოკვეთავს ახალ საკითხებს სამომავლოდ კვლევის გააგრძელებისთვის.

საკვანძო სიტყვები: *სახელმწიფო ინსტიტუტები, ინსტიტუციური ცვლილება, პოლიტიკური ძალადობა.*

Abstract

The following paper refers to the research which examines the influence of political violence on change of political institutions. More precisely, the research questions are as following: When does the government use the violent strategy to communicate with the society? What is the impact of power usage on functioning of state institutions? How can institutional changes be balanced with the result of violent actions?

In the framework of the above-mentioned research I will apply three main methods of qualitative research: desk research, comparative analysis of the cases and interviews. Three cases will be subject to the research: dispersal of the rally of "Occupy Wall Street" public movement in the U.S. in 2011, periodic clashes between the government and paramilitary groups in Columbia and the crackdown of peaceful anti-government protest in Georgia in 2007.

The results of the research support the following hypotheses: the possibilities of state institutions define the choice of government to use the violent actions; frequent political violence results in distrust in society and endangers the political institutions; the post-violent situations may be balanced by the change of agent or structure of political institution.

The conclusions and final results of the following paper shed the light to new topics that can be subject to future research.

Key words: state institutions, institutional changes, political violence